

ქველი ქართული ენის კათედრის შრომები

# კ რ ე ბ უ ლ ი

ტ. 30



03. ჯაგანისუფილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქველი ქართული ენის კათედრის შრომები

# პ რ ე ბ უ ლ ი

ტ. 30



რედაქტორი პროფ. კ. დანელია

რეცენზენტები: დოც. მ. მარგველაშვილი  
დოც. თ. მეტრეველი

გამომცემლობის რედაქტორი აზა კაჭარავა  
კორექტორი ცირა მოლოდინი  
ტექნორედაქტორი ფრიდონ ბუღაღაშვილი

ხელმოწერილია დასაბუჯდად 22.03.01  
საბუჯდი ქაღალდი 70X108 1/16  
პირ. ნაბუჯდი თაბახი 20,93  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 15,33  
შეკვეთა № 21 ტირაჟი 120

ფასი სახელმწიკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის სარედაქციო-საღიბლიკაციო  
კომპიუტერული სამსახური,  
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

4602000000

კ 608(06)-01

ISBN 99928-33-04-1

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. კ. დანელია, აბსოლუტურ და რელატიურ გარდაუვალ ზმნათაგან მორფოლოგიური სუბიექტის ბრუნვაში მართვის საკითხი .....	5
2. მ. შანიძე, ერთი იურიდიული ფორმულა დაეთვის ისტორიკოსის თხზულებაში .....	13
3. ბ. გიგინეიშვილი, „ღამბდაინში“ ქართველურ ენებში .....	17
4. ლ. ბარამიძე, სტატიკური ვნებითი ძველ ქართულში .....	26
5. ელ. დოჩანაშვილი, ლექსიკოლოგიური დაკვირვებანი ბიბლიის ძველი ქართული ვერსიის ენაზე .....	54
6. ელ. დოჩანაშვილი, ს. სარჯველაძე, ტერმინ „მბერავის“ მნიშვნელობანი წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით .....	61
7. თ. ცქიტიშვილი, სინდისის საკითხისათვის იოანე პეტრიწის „ფილოსოფიურ ტრაქტატში“ .....	65
8. თ. ცქიტიშვილი, ნების თავისუფლების პრობლემა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ .....	78
9. თ. ცქიტიშვილი, დ. თვალთვაძე, იოანე ოქროპირის „მათეს სახარების განმარტების“ ექვთიმე მთაწმიდლისეულ ქართულ თარგმანზე დარსული ტექსტისათვის .....	95
10. დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირე ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ერთი საკითხის შესახებ .....	116
11. მ. მელიქიძე, -ენ, -ნ სუფიქსის გამოვლენა -ი- და -ე- პრეფიქსიან ვნებითებთან საშუალო ქართულში .....	123
12. ლ. ნიჟარაძე, აწმყო დროის მიმდებარე სვანურში .....	130
13. ნ. შარაშენიძე, „ეგებ“ ნაწილაკის ისტორიისათვის .....	143
14. თ. ბოლქვაძე, უცხო სიტყვის ენაში ინტეგრირების ერთი გზა .....	152
15. ნ. მეტრეველი, ქვევის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში .....	164
16. ი. სანიკიძე, -ნ და -ედ აწმყოს ხოლმეობითის ნიშანთა საკითხისათვის ძველ ქართულში .....	167
17. რ. ქურდაძე, ხმოვნიანი სუფიქსი როგორც აბლაუტის მოშლისა და აღდგენის პირობა .....	179
18. მ. ბაბუხაძე, ანთროპონიმ „ხურცის“ ეტიმოლოგიისთვის .....	182
19. ნ. დობორჯგინიძე, ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის კომენტარები „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებიდან“ .....	188



ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის კომენტარები  
 „ფსალმუნთა ბამოკრებული თარგმანებიან“

ქრისტიანული ეგზეგეტიკის უმთავრესი მიზანი იგაფური, გადატანითი მნიშვნელობის მქონე ბიბლიური სახეების ახსნა-განმარტება იყო. ამიტომაც ამ უანრის თხზულებებში მრავლად გვხვდება გრამატიკული თვალსაზრისით მეტად საინტერესო კომენტარები, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ სიტყვას ხსნიან და აზუსტებენ. სწორედ ამ ახსნა-განმარტებითი ფუნქციით გამოიყენა ეგზეგეტიკამ ალექსანდრიელი ფილოლოგების უზარმაზარი გამოცდილება ანტიკური ხანის ბერძნული ტექსტების მეცნიერულ გამოცემათა მომზადებისა და მათი ახსნა-განმარტების საქმეში. ამავე ფუნქციით შეიქმნა დიონისე თრაკიელის τέχνη γερμανικῶν, პირველი ბერძნული ნორმატიული გრამატიკა, რომელიც არის პრაქტიკული სახელმძღვანელო ძველი ტექსტების განმმარტებელ-გამომცემელთათვის. ეგზეგეტიკამ ამ გრამატიკის ექვსივე ნაწილი თავის თეოლოგიურ ამოცანებს მიუსადაგა და ამგვარად გამოიყენა ბიბლიური ტექსტების სახისმეტყველებითი განმარტებისათვის.

„ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება“, რომლის მასალასაც ეყვრდნობით, სწორედ ამ ტიპის თხზულებაა. იგი შედგენილი უნდა იყოს XII საუკუნეში სხვადასხვა წყაროთა კომპილაციის გზით, რომელთაგან უმთავრესი ეგრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანება“ (იხ. მ. შ. შანიძე, „ეგრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისათვის“, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, გვ. 70, 97). „გამოკრებული თარგმანება“ სახისმეტყველებითი კომენტარების კრებულია. ეს განმარტებები ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი, „თხრობისაებრი“ ნაწილი არის ინფორმაციული, ტექსტოლოგიური, ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური თუ გრამატიკული ხასიათის მსჯელობა ფსალმუნის კონკრეტული ადგილის, ამა თუ იმ სიტყვის, თეოლოგიური ტერმინის შესახებ. ხოლო მეორე არის „სახისმეტყველებითი“, ანუ „სახისმოლებითი“ განმარტება. „თხრობისაებრი“ ნაწილი აზუსტებს, „თუ რად არს“, ხოლო „სახისმეტყველებითი“ – „თუ რასა გულისკმა-გუფოს“. მაგ: სამმდგომი მკედარი: (მოსეს გალობა, 3) „სამთა ცხენთა ზედა აღმკედრებულთა მკედართა იტყვან სამმდგომად და სამთა მიმართ ბრძოლის-ყოფად შემძლებულთა და განწყობილთა შინა მბრძოლთასა შესამისა ადგილისა დამპყრობელსა; რადთა, უკუეთუ შექმთხვოს პირველთა მათ და კუეთებდ, ადგილსა მათსა შემოვიდეს სხუაჲ მესამე. ესე თხრობისაებრი, ხოლო სახისმეტყველებით სამმდგომად ითქუმიან საყოველითად უკუე სატანას მსახურნი და მკედარნი მისნი ეშმაკნი... ხოლო სხუანი სამმდგომად მკედრად სამნაწილობასა იტყვან სულისასა: სიტყვერებითსა, გულისთქუმიოთსა და გულისწყრომიოთსა“.

კომენტართა „თხრობისაებრი“ ნაწილი, როგორც ვთქვით, ჭრელია. ამჯერად შევეჩერებით ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის ზოგიერთ კომენტარზე.

ეტიმოლოგიის პოვნა (ἐτυμολογίας εὑρεσις) ორაკიელის გრამატიკის მეოთხე ნაწილია. მისი შეტანა გრამატიკის მეცნიერებაში საკუთრივ ენობრივი ინტერესებით არ ყოფილა გამოწვეული. იგი მიზნად ისახავდა საგნისა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის მიმართების დადგენას. ეტიმოლოგიას მუდმივ ცვალებადობაში მყოფი სიტყვის თავდაპირველი დაფარული არსი, ἔτυμον-ი უნდა გამოეპყარაებინა. ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში გრამატიკის ამ ნაწილმა წმინდა თეოლოგიური ფუნქცია იტვირთა. მას უნდა ეჩვენებინა, რომ ბიბლიაში, განსაკუთრებით კი ფსალმუნთა წიგნში მოხმობილ სახელთა ეტიმოლოგიები ალევორიულად, „სახისმოღებით“ მიანიშნებენ, წინასწარმეტყველებენ მაცხოვრის განკაცებას. მათი დადგენა სწორედ ამ მიფარული შინაარსის განცხადებას ემსახურება. ამიტომაც ფსალმუნთა ეგზეგეტიკურ კრებულებში ხშირად გვხვდება მსჯელობა სახელთა ეტიმოლოგიების შესახებ. ეს ეხება „ფსალმუნთა გამოკრებულ თარგმანებსაც“, რომლის კომენტართა „თხრობისაებრი“ ნაწილი ხშირ შემთხვევაში ებრაულ, ბერძნულ თუ საკუთრივ ქართულ სიტყვათა ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის მსჯელობაა.

ა) უცხოენოვანი სიტყვები.

აბეკალთმ ითარგმანების მშველობა მამისა (3,8. წ.). აბიმელექ სახელი არს ზოგადი, ვითარცა რომაელთა კეთრობა და მეგუბტელთა ფარაობა, და ანუ თუთ სახელი არს მისი განთუხებული (7,12). აბრაჰამ გამოითარგმანების თითო სახელ, ესე იგი არიან: მამად მალლისა, მამად ძისა წინა მოსრულისად და მამად წარმართთა (103,15). აღიღუთა გამოითარგმანების აქებდით და უგალობდით ღმერთსა... რამეთუ აღ აქებდითად გამოითარგმანების, ხოლო იღუ, ვითარმედ ნამდკლვე, ხოლო ია უფალსა, გინა ღმერთსა. ანგ ია მელდესასწაულედ გამოითარგმანების (145,ზ.წ.) ამორეველი გამოითარგმანების დამაწყნარებლად წყალთა (134,10). ასაფ: ორსახელ გამოითარგმანების სახელი ასაფისი: შემკრებულად და შესაკრებულად /81,8წ/. აჰრონ მთად ძლიერებისად გამოითარგმანების.../134, 19/. ბასანი მწარედ გამოითარგმანების... ბასანი ადგილი არს მეფეთა საჯდომისადა ... კუალად ბასანი სირცხულად ითარგმანების (67,21). ბაბილონი შერევნად გამოითარგმანების (86,4). ბელფეგ ორ: ბალ კერპი იყო აზნელთა, ფეგორს აღმართული და ეწოდების ბელ ებრაულად, ხოლო ბაალ ბერძნულად, რომელი=ესე კრონოსსაცა ეწოდების ბერძნულად (105,27). ბენიაშენ გამოითარგმანების მგელ მტაცებელ (73,2). ბენიაშენ ძედ მარჯუენისა ითარგმანების (67,26). ბალაადი გამოითარგმანების ადგილსა დაშენებულად (107,8). დავით სასურველად გამოითარგმანების (77,12). დავით გამოითარგმანების, ესე შევიყუარე (3,2). ეგუპტე გამოითარგმანების სიბნელედ (113,12), ეგუპტე მოსაჭირვებლად გამოითარგმანების (135,10). ედომ ქუეყანიერად გამოითარგმანების (135,8). ეფრათა ნაყოფის მოძლებულად გამოითარგმანების (131,5), ეთამ მალლად ითარგმანების... ეთამ არა ხოლო მალლად, არამედ სისხლად ვიეთად გამოითარგმანების (88, ზ.წ.). ერმონი წმიდად გამოითარგმანების (132,3), ერიონი, რომელ არს სახილველი ნათლისადა (88,II), ერმონი, რომელი ითარგმანების გზად ნათლისადა (41,6). ეფრემ ნუგეშინის-ცემად გამოითარგმანების (107,8), ეფრემ ნაყოფის შემწირველად გამოითარგმანების (72,3). ეშმაკ შემასმენელად ითარგმანების (71,4). ზაქარია გამოითარგმანების მძლეობად ღომისა (145, ზ.წ.), ზაქარ ჰსენებად გამოითარგმანების, ხოლო იათ განკუთნვილი სახელი არს უფლისა ენასა შინა ებრაელთასა, ზაქარია, ესე იგი არს, ჰსენება უფლისა (137, ზ.წ.), თაბორი, რომელ არს რჩეული (88,II). თარსის, რომელ არს ქალაქი კარქიდონი, სამთავრო ქუეყანისა

აფრიკელთადასა (მოს.გალ.6), ...თარმად კარქიდონს ყოველნი სახელ-სდეკენ (71,10),  
*იაკობ* მსმენელად გამოითარგმანების (151,1). *იაკობ* მპყრობელად უკუანადგენელისა  
გამოითარგმანების (147,8). *იდიოთუშ* მაცდურად გამოითარგმანების (38, ზ.წ.) *იდეუშია*  
გამოითარგმანების მოკლებულად (107,9). *იემენი* ითარგმანების მარჯუენე ჩემი (147,1).  
*იერუსალემი* სახილველად მშვედობისა ითქუმის (145,2). *ითაშ* არეულად თარგმნა  
სუმახოს, ... ვიეთნიმე ითამს ადგილსა სახელად თარგმნიან (73,15). *იოპე*, რომელ არს  
სამსტრო სიხარულისა (მოს.გალ.6). *იოსებ* ნაყოფის გამომღებელად  
გამოითარგმანების (77,67). *ისრაელი* გამოითარგმანების ერად ძლიერად (113,1).  
ისრაელად იტყვს მხედველობასა გონებისასა (24,24), ისრაელი ითქუმის გონება მხედველი  
ღმრთისა (21,23)... ერთსა და მასვე სახელი ედების იაკობ და ოდესმე ისრაელი, რაჟამს  
საქმითთა მოღუაწებითა პბრძოდის კაცი პირუტყულთა ვნებათა და არაწმიდათა ძალთა,  
მაშინ იაკობ ეწოდების, ვითარცა მწინხელსა ბოროტთა მათ ბანა კოასა, ხოლო რაჟამს წმიდა  
იქმნეს გონებითა და ესრეთ უმყოთველად ხედვიდეს ღმერთსა, მაშინ ისრაელი ეწოდების,  
რომელ არს გონება, მხედველი ღმრთისა 97,3). *ისრაიტელი* დათესულად ღმრთისა  
გამოითარგმანების (88, ზ.წ.) *კედარი* ბნელად გამოითარგმანების (119,5), ხოლო კედარი  
ამისთვის მოიწესნა, რამეთუ არს უდაბნოსა აღმოსავალისა ადგილი, რომელი მოიწევის  
სპარსეთამდე, რომელთა შინა მკვდრ არს ნათესავი სარკინოსთა და მას ეწოდების კედარ,  
თანამოსახლედ კედარისა, რომელ იყო მეორე ძე ისმაელისი (119,5). *კორე* ითარგმანების  
მტიერად (83, ზ.წ.), ხოლო ძენი კორესნი გამოითარგმანების ძედ შეცოდებისა, რამეთუ  
კორე წინააღმდეგომ იქმნა ღმრთისა (84, ზ.წ.). *ლიბანი* გამოითარგმანების  
განმასპეტაკებულად (103,6). *მაღეთ* ხოროდ გამოითარგმანების, ხოლო ხორო  
მწყობრსა სახელ-ედების, მრგულიად მოწყობილსა, გინა მგალობელთა, ანუ  
მომღერალთასა, ... მაღეთ დასაბამად გამოითარგმანების (87, ზ.წ.). *მანასე*  
დავიწყებულად გამოითარგმანების (107,8). *მოსე*: ორსახედ ითქუმის სახელი მოსე და  
ორსახედვე გამოითარგმანების, რაჟამს თქუა, ვითარმედ, მოსე, ამაღლებულად წყლით  
გამოითარგმანების, ხოლო რაჟამს თქუა, მოისი, გამოძიებად უფლისა, გინა  
ცხოვრებისაგანად გამოითარგმანების (98,6). *ოგ* კრწნილებად გამოითარგმანების  
(135,19), კუალად ოგ შემომკრებელად გამოითარგმანების (135,9). *რააბი*  
გავრცელებულად გამოითარგმანების (86,4). *საბაოთ* მშვედრობითად გამოითარგმანების  
ენისაგან ებრაელთადასა (ლექს.). *სამოელ*, ვითარმედ სახელი მისი ღმერთ არს (98,6).  
*საულ* გამომთხოველად გამოითარგმანების (17,8 წ.) *სეონ* გამოითარგმანების  
მკურვალედ განსაცდელად (134,10), სეონ გამოითარგმანების ამაღლებულად (135, 19).  
*სიკიმა* აღმავლად გამოითარგმანების (107,7). *სიონი* კარვად გამოითარგმანების  
(145,10), *სიონი* ეწოდების ძალაღსა, რომელ არს ეკლესია (21,24), სიონი, რომელი შორით  
ხედვიდეს მოსლვასა უკეთურთასა, ... სიონი, რომელი ხედავს ვითარცა სამსტროით (9,10),  
სიონად ზეცისა იერუსალემს უწოდს (9,4), ხოლო სიონი გამოითარგმანების სამასლო,  
რომელ არს გუშაგი, გინა დეტი, რომელი შორით ხედვიდეს მოსლვასა უკეთურთასა (75,2),  
სიონი საებგურო სათნობათა (125,1), სიონი მცნებად გამოითარგმანების (136,1), ზოგად  
გამოითარგმანების სახელი სიონისი, უგადაცა და წყურვილად, ... სიონ ეწოდების გულსა  
საებგუროსა, რომელსა ჰქვან მომსტურე საღმრთოთა ხედვათადასა (132,12), სიონი  
გამოითარგმანების ადგილად საყოფელად კარვისა, რომელ არიან ცანი (135,3). კარავი,  
ესრეთ გამოითარგმანების სახელი სიონისი (145,10). *სოლომონ*, რომელი მშვედობად  
ითარგმანების (71, ზ.წ.). *ტანეოსი* ითარგმანების მდაბლად და უნდოდ მტყუელად

(77,12), ტიროს შერევნად ითარგმანების (86,5). *ქამ*, რომელი-იგი კადრებად გამოითარგმანების (71,51). *ქანაან* გამოითარგმანების თაყუანისცემად უსჯულოებისა (104,10). *ქერუბიმი* გამოითარგმანების მეცნიერებად და გულისკმის-ყოფად (171,II). *ქორები* სიბრძნედ გამოითარგმანების (105,19). *ქრისტე* ცხებულად გამოითარგმანების, ვითარ-იგი მრავალგზის გუასმიეს წმიდათა წერილთა შინა, ხოლო მიზეზი ამის პირისაი რეკვა საძიებელ არს, თუ ვითარ ბერძულთა საფსალმუნეთა შინა მრავალგზის მოიკსენების სახელი ქრისტესი, ხოლო ქართულთა შინა - არცა ერთგზის სადა. გარნა ესე ამიერ ისწავებ რამეთუ ვითარ-იგი ბერძენნი პატივისათჳს ებრაელთაჲსა მრავალთა სიტყუათა იჭუმევერ ებრაულთა, ეგრეთვე ქართველთა მრავალი სიტყუა აქუს საკმრად ებრაულისაგანცა და ბერძულისაგანცა, ვინათგან უმეცართა მიერ არა აღჴლად განარჩევიან უცხონი იგი სიტყუანი ბერძულნი ებრაულისაგან. ხოლო ჩუენ ებრაულისაგანცა მათეუ სიტყუათა შემოვიხუამთ, რომელნი ბერძენთა შემოუხუამან, და კუალად ბერძულისაგანცა სხუათა უმეტესთა სიტყუათა, რომელთაგანი ერთი არს სახელი ქრისტესი. რამეთუ ებრაელთა თჳსსა ენასა სხუად სახელი აქუს ცხებულისაი, ესე-იგი არს მესია, ხოლო ბერძულად ქრისტე არს ნაცვალად ცხებულისა. ვინაიცა ცხად არს, ვითარმედ პატივისათჳს ბერძენთაჲსა ვიტყუთ ქრისტესა, ხოლო დავითთა შინა ცხებულსა ვიტყუთ ნაცვალად ქრისტესა, რათა უმეტესად ცხად იყოს ძალი სიტყუათაი (ლექს.). *ჰეროდონ* მთავრად, ვინა მფლობელად გამოითარგმანების (103,17), კუალად *ჰეროდონ* მსგავსად ქრისტესა შემოიღებვის, რამეთუ მფრინველი ესე არს სპეტაკ, ბოლონი და ფრთენი მეწამულ და შუენიერ ხილვითა და თუალითა მაკუდინებელ, რომლისა გარემოს ვერარაი გესლიანი იკადრებს მოახლებად (101,17), *ჰურიასტანი* გამოითარგმანების აღმსარებლად ღმრთისა (113,12).

ბ) ქართული სიტყვები.

განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი კომენტარები, რომელთა „თხრობისაებრი“ ნაწილი არის ლექსიკოლოგიური ხასიათის მსჯელობა საკუთრივ ქართულ სიტყვათა შესახებ. ამ ტიპის განმარტებებიც არა ენობრივი, არამედ თეოლოგიური მიზნებითაა განპირობებული. კრებულის შემდგენელს იგი კონკრეტული ადგილის „სახისმეტყველებით“ ახსნისთვის სჭირდება.

ალაგ ეწოდების გზასა ვრცელსა (138,3). *ამაო* ურგები არს და უნაყოფო (61, 9), ხოლო *ამაოდ მტერობა* ესე არს, რაჴამს აღუდგეს კაცსა მტერი, რომელსა მისგან არაა ვენებოდის (3,7). *აღთაქუმა* არს ქადება და აღმოქუმელ-მქადებელი (მოს. გალ.3). *აღსარება* არს გალობაჲ მადლობითი, სადიდებელად ღმრთისა აღმთაქმული, სამადლობელად ყოველსავე, რაოდენი კეთილი მიყო ჩვენ (91,1). *აღშენებული*: „უკუნისამდე წყალობა აღემწონს“, ესე იგი არს, განმტკიცოს, რამეთუ აღშენებული აღდგომილი რამე არს და განმტკიცებული (88,2), ახად ეწოდების ყოველსავე შეუშწიკულებელსა და დაუბუელებელსა (97,1). *ბობლანი* ორგანოა არს გალობისა (80,1). *განზრახვა* არს საღეთო რამე ძალი ზეცათა შინა, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ „მიპყარ ჴელი მარჯუენეჲ შენი და განზრახვითა შენითა მიძლოდე მე (მოს.გალ.2).

*განკფობა* არს დაკსნა ძალისა (74,3).

*გალობა* არს თჳსისაებრ უკუე სიტყჳსა ჴმად რამე ყოველსავე ჴმისა მიერ ჴმა-ტკბილობით თქმული და ყოველითავე ორჯანოდთა მუსიკებითა და იხილვების დამწყებლად ამისა საღმრთოდ ოდენ მოსე... გალობა არს ხედვაჲ გონებისაი წულილადი და ღმრთის-



მეტყუელებად უცთომელი და მართალი, რომელნი-ესე იყვნენ სულთა შინა მართალთასა და იწურებოდნან მათ მიერ და აღიწვიან სასმენელად უფლისა (მოს.გალ.1);

*განმამრუდებელი* არს მკურნალთა მიერ ოპისტონად სახელ-დებული სენი, რომლისა მიერ ყოვლითურთ უკულმართ უკუდრკების გუამი, და ზურგსა ზედა, ვითარცა მშკლდი გარდაცუძული მოდრკების (მოს.გალ.2).

*დღესასწაულობა*: დღესასწაულობდეს, ესე იგი არს, გამოაჩინოს თავი თვის რამეთუ დღესასწაული გამომჩინებული არს საქმისა მის, რომელსაცა დღესასწაულობს, ვინაძცა დღესასწაულობს, ამისთავს, რამეთუ სახილველ-ჰყოფს (75,II).

*ებან-დაფი*: ებანი შემზადების მკუდრისაგან ცხოვარისა, რომლისა მსგავსად გვკმს მკუდარ-ყოფად თავთა ჩუენთა ცოდვისაგან და წარდგინება მსხუერპლად ცხოველად ღმრთისა (80,1). *დაფი* ჯორცთაგან არს და ებანი და მეებნე ითქუმის მოკუდინებისათვის ჯორცთადას ღმრთისა მიერ, რამეთუ მკუდართა ჯორცთა არს ებან-დაფი (67,24).

*ელეა* არს, რომელსა ორი სახეა აქუს, განანათლებსცა და შეამრწუნებსცა (17,4).

*ზრახვა* პირად ცუდად მოზრახვასა ეწოდების და კუადად ჰპირად წურთასაცა ზედა მოიღებვის (54,2).

*თესლ* ეწოდების ყოველსა საქმესა სოფლიოსა (II,5).

*იგავი*, *სიბრძნე*, *წურთა*: იგავსა აქუს ორი საქმე, ერთი - მიფარულად მეტყუელებად და მეორე - სახისმეტყუელებად, ვითარცა-იგი არს განყოფილებად სიბრძნისა და წურთისა შორის, რამეთუ სიბრძნე არს სხუათა სარგებელი, ხოლო წურთა - თავისა თვისსა სარგებელი (48,4).

*კლერტი* და *თიგა* მწუანვილნი არიან უნაყოფონი და თორნესა შთასაგზებელნი (მოს.გალ.2).

*ლევი*, *ლევეტი*: სამსხმური ჭურჭელი არს ლევეტი (59,8).

*ლოცვა* არს ეედრება და მეედრებელ არიან მლოცველნი (მოს.გალ.3), ხოლო დიდროანი ლოცვანი სამნი არიან, რომელთა ჩუენ სახელ-ვსდებთ მწუხრისად, ცისკრად და ჟამისწირვად (54,17).

*მალნარი* არს მთათა შინა ტევენარი შანბი (73,6).

*მზაკუარი* არის პირითა სიყუარულისა მქემებელი და გულითა მმარხველი სიბოროტისა (5,7).

*ნაპრალი*, ესე არს დანახეთქი მთათა (მოს.გალ.6).

*ნეტარება* არს წუევა სასოებისა (33,8).

*ნიავეარი* მძაფრსა კუეთებასა ქართასა ეწოდების (49,3).

*ნათესავ* ეწოდების საქმეთა კეთილთა, რომელნი ვითარცა თესლნი, დარჩებიან სოფელსა შინა (24,14). ხოლო *თესლ* ეწოდების ყოველსა საქმესა სოფლიოსა (II, 5).

*ნეშტი*: ნეშტად ითქუმის ყოველივე ნაშთომი (75, II).

*სამკურნალო სახლი* ესე არს, რომელსა შინა პირად-პირადობისაებრ სენთასა პირად-პირადცა ვპოებთ წამალთა, საკურნელთა მათთა (83,4).

*სანთაგე*: ყოველივე ჭამადი, შემზადებული, უამოვნეს იქმნების და სანთაგე ეწოდების (54,14).

*სარეცელი* განსუენებისა გამომსახველ არს (149,5), ცხედრად ითქუმის მიმშუელი საგებელთაგან, ხოლო *სარეცლად* - გარდაგებული (6,6).

*სასოება* არს წარმართება მცნებათა (70,14).

საჭუმბლაგი არს მეოთხედი ნაწილი ღამისაჲ (89,4).

სიმართლე არს მოქმედება სათანადოსა, გინა თანამდებობისა (მოს.გაღ.1).

სჯული, სიმართლე, სამართალი: პირველად ყოელისა გიჰმს, რათა მეცნიერ იყო, თუ ვითარ განიყოფებიან ურთიერთარს სჯული და სიმართლენი, მცნებანი და სამართალნი და წამებანი უფლისანი. და ყოველივე ესე უპირატეს ყოველთასა მოსეს მოუცნეს, ვითარ-იგი თქუმილ არს, ვითარმედ, სიმართლენი და სამართალნი, ესე იგი არიან მსჯაერნი, რომელნი მოსცნა ღმერთმან მოსეს. სჯულ ეწოდების ყოველსავე განმაწესებელსა და მბრძანებელსა სათნოესა მოქალაქეობისასა, ხოლო სიმართლე - აღსრულებასა მისსა და მცნებათა, თანა-წარუებად ბრძანებულთა და თავად-თავად აღრაცხულთა, რომელთა თანა-წარსლვად შეუძლებელ იყოს, რამეთუ მეუფებრი ბრძანება არს და არა მონებრი განზრახვა. ხოლო სამართალ ეწოდების საღმრთოესა მის გამოჩინებისა გამოცხადებასა და მსჯავრთა მისთა უქცევებლობასა (118,ზ.წ.).

უგუნური: უგუნურად ვიტყვთ ბრძენსა, რომელსა ძალ-ედვას გაგონებაჲ შემჯობისსაჲ და არა ინებოს (48,12).

უპედ საძირკველი არს ჩჩკლისა და მით იზრდების (70,6).

ლაღადება არს გალობა რადვე საძლეველი (94,1). ღაღადება არა პირითა ვმამაღლად ვმობასა ეწოდების, არამედ შემოკრებითა გონებისაჲთა და სიმდაბლითა გულისაჲთა აღსრულებულსა ლოცვასა (17,6).

ყველი:...შეყოფილ და განყველებულ ეწოდების გონიერებისათვის და სიმტკიცისა, რამეთუ ყველი შეყოფილი არს, შედგენილი და განმაგრებული (67,15).

შედგომა, ესე იგი არს, უკუანა შენსა მიყოლა (მოს.გაღ.7).

შექმნა, დაბადება: შექმნა ითქუმის კორცთათვის, ხოლო დაბადება - სულისათვის, ...შექმნა ითქუმის პირველისა მისთვის, რაჟამს მიწისაგან შევიქმნენით, ხოლო დაბადებად მეორედ განახლებასა ქრისტესმიერსა უწოდთ (118,73).

შეძენა არს განმრავლება სათნოებათა (70,14).

შვლი - რიცხვ ესე პატივცემულ იყო ძუელთა მიერ, რამეთუ ცხად-ჰყოფს სისრულესაცა შვლისა და განსრულებისათვის ყოველთავე დღეთასა და ყოველსავე ცხოვრებისა ჩუენისა მას შინა დასრულებისათვის და ჟამიერთა საუკუნეთა შვდეულებისათვის (მოს.გაღ.3).

ცეცხლი, სიცხე: ...ცეცხლი და სიცხე, ერთბამად ბუნება და საქმე, რამეთუ ცეცხლი ვიდრემე ბუნებისა სახელი არს, ხოლო სიცხე არა არსებასა ცეცხლისასა, არამედ საქმესა მისსა წარმოაჩენს (მოს. გაღ.7).

ცოდვილ ეწოდების ცოდვასა შინა შთაფრლომილსა (118,148).

ცუარი არს პირველ მძაფრისა წჷმისა წურილად და განბნევით გარდამომავალი და არა ვწირად (71,6).

ცხედარი: ცხედრად ითქუმის შინუელი საგებელთაგან (6,6).

ძეძუ არს, ანუთუ გურწამლი, სახე ეკლისა დიდროანისა და არს მაგარი და ფიცხელი (57,9).

წამება ეწოდების, რაჟამს უწამებდეს კაცთა ამის რადსამე ქმნასა და მის რადსამე არა-ქმნასა და წინადთვე უბრადლო ჰყოფდეს თავსა თვისსა გამოცხადებითა სასჯელსა მას, რომელი შეეძინებოდა ურჩთა საღმრთოესა ბრძანებისათა (118,ზ.წ.).

წერაქვ ორღანოდ არს ქვით ხუროთად განპებისათვის ქვისა (73,6).

წმიდა არს ყოველი მოყუარე ჭეშმარიტებისა და მოძულე სიცრუისა (II,1).

წრფელ ეწოდების ანგელოსთა და წრფელნიცა კაცთა საქმენი წინაშე ღმრთისა შემაველ არიან და ხედვად საწადელ... რომელი მცნებათა უზაკველ იქმოდის, მას ეწოდების წრფელ (10,7).

ამ განმარტებებს კარგად იცნობდნენ ძველ საქართველოში. ხშირ შემთხვევაში ისინი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის პირდაპირი წყარო ჩანს. როგორც პროფ. მ. შანიძემ აჩვენა, განმარტებები სიტყვებისა: – ცხედარი, დიაფსალმა, აღილუია საბას სწორედ ფსალმუნთა თარგმანებიდან უნდა აეღო. დასახელებულ სიტყვებს უნდა მიემატოს „გამოკრებული თარგმანებიდან“ კიდევ რამდენიმე, რომელთაც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს საბას ლექსიკონი. ესენია: გალობა, დანახეთქი (ნაპრაღი), ლოცვა, მალნარი, მზაკუარი (ზაკუა), მალეთ (ხორო), სიონი, სანთაგე.

P. S. სტატია აწყობილი იყო დასაბუჯდად, როდესაც გამოქვეყნდა „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების“ ტექსტი (ფსალმუნთა განმარტება. უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ, ნაწილი, I, თბ., 1996 წ. ნაწილი II, თბ., 1996წ.).